**თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის**

**ოქმი № 2**

ქ. თერჯოლა 06.02.2024 წელი

**სხდომას უძღვებოდა:** კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

**სხდომას ესწრებოდნენ:** 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. გოჩა ვერულაშვილი, 4. გრიგოლ გიორგაძე, 5. მანუჩარ ფანჩულიძე, 6. ფრიდონ გვენეტაძე

**სხდომას არ ესწრებოდნენ:** 1. რამინი რობაქიძე, 2. კობა კირკიტაძე, 3. როლანდი მესხი, 4. ნინო მახათაძე, 5. გიორგი ბარათაშვილი.

**კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი**
**დამსწრე წევრთა რაოდენობა : 6 წევრი**
**კვორუმი: 6 წევრი**

**დღის წესრიგი:**

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282403632, 05.02.2024 წ.).

მომხს.: თ ქოჩიაშვილი

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6 , წინააღმდეგი - 0**

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა -144,4 ათასი ლარით და შეადგენს 30067.4 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 102,3 ათასი ლარით (გრანტი).

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 246,7 ათასი ლარით (გრანტი).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 103,3 ათასი ლარით. საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება შემცირდა 103,3 ათასი ლარით (ტრანსპორტის ხარჯი).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 247,7 ათასი ლარით. მ/შორის:

კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსება გაიზარდა - 207.7 ათასი ლარით (ნაგავმზიდი მანქანის შეძენა).

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრის დაფინანსება გაიზარდა 10,0 ათასი ლარით.

სოციალური დაცვა გაიზდა 30.0 ათასი ლარით.

**აზრი გამოთქვეს:** გოჩა ვერულაშვილმა, გრიგოლ გიორგაძემ.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 5, წინააღმდეგი - 1**

**გადაწყვიტეს:** მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი